

## საქართველოს კანონი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №012, 31.05.1996წ. გვ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ნოტარიუსი არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს.“

2. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) თუ ნოტარიუსთა თანამდებობები შევსებულია მოცემული წლისათვის თეორიული მინიმუმის მიერ განსაზღვრული ნოტარიუსთა თანამდებობების მსახიობლორი ოდენობის შესაბამისად.“

3. მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ნოტარიუსის მიმართ განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ხისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო.“

4. 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამმებრო-სადაზვერვო და სხვა, მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ.“

5. 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ და ამ კანონის ამოქმედებამდე თანამდებობაზე დანიშნულმა ნოტარიუსებმა უზრუნველყონ, შესაბამისად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივსა და სანოტარო ბიუროებში დაცული სამემკვიდრეო საქმეებისა და ანდერძების აღწერა და სათანადო მონაცემების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში შეტანა.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი